№ 182. აგვისტოს 22, ოთხშაბათი. 1866—1884 აგვისტოს 22, ოთხშაბათი. № 182.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ., 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ. 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათის გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

თბილისი

ღღეს აგვისტოს 22-ს გამართული იქნება კონცერტი

თბილისის სობრანიაში

დ. მ. ლეონოვისაგან.

თანა-მონაწილეობით მომღერალის „მეცო-სოპრან“

ს. ვ. აბრამიჩოვისა.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

მრგვალი ხელი

(ვუძღვნი სოფლის მასწავლებელთ).

თბილისი, აგვისტოს 22-ს.

როგორც მოგეხსენებათ, ჩვენში ორ-გვარი ხელთ-ნაწერი სუფევს ამ ჟამად. ერთი ძველი, ესრედ-წოდებული «მრგვალი ხელი» და მეორე «წახრილი ხელი». როგორც ერთს, ისე მეორეს თავისი გრძელი ისტორია აქვს, მაგრამ ამ წერილში მე ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ.

ბევრისაგან გამიგონია: რა სარგებლობაა, ან რა აქვთ სახეში მასწავლებლებს, როდესაც დედნიდამ ჯერ ქართულ მსხვილ, მრგვალ ხელ-ნაწერის წერას ასწავლიან შეგირდებს, შემდეგ კი სულ სხვა გვარ წერას, ე. ი. წაქცეულ ხელს, ან ერთს და ან მეორეს რა კავშირი და დამოკიდებულება აქვს ერთმანეთშიო? მეც და ბევრ სხვა მასწავლებლებს თავისებური კითხვები მიგვიცია ამ საგანზე. სასურველი იქნებოდა, რომ ერთგვარი აზრი და შეხედულობა შემუშავებულიყო წერის შესახებ და ეს აზრი და შეხედულობა დამკარებული ყოფილიყო, როგორც მეცნიერთა ძიებაზე და პედაგოგების რჩევაზე, ისე საღს და გონივრულს მსჯელობაზე, პრაქტიკულ მოხერხებაზე და გამოცდილებაზე.

ჩვენ გესურს, რამდენადაც შეიძლება, ეუჩვენოთ მკითხველს და განსაკუთრებით იმ პირთა, რომელნიც სწავლების საქმეს ძისდევენ, რამოდენად ადვილი, სასარგებლო და ლამაზია საზოგადოდ მრგვალი ხელ-ნაწერი და კერძოდ ქართული.

მრგვალი ხელის გავრცელებაზე და სასწავლებლებში შემოღებაზე ამ ჟამად დიდი ბაასია ატეხილი მთელს ევროპის და რუსეთის პედაგოგებში. ამ უკანასკნელ დროს ლაპარაკი ლამის მრგვალის ხელის სასარგებლოდ დაბოლოვდეს. ზამოჩენილი პედაგოგები და თვალის ექიმები მრგვალს ხელს სცნობენ ძრიელ საადვილო, ლამაზ ხელად და ჰიგიენის მხრით სასარგებლოდ.

მრგვალი ხელი ჩვენში იწყება მეთერთმეტე საუკუნიდამ, როგორც ამას გვიმტკიცებენ ძველებური ჩვენი გუჯრები და ხელთ-ნაწერი წიგნები. პირველად, ესე იგი, მეთერთმეტე საუკუნიდამ მოკიდებული, ვიდრე მეთუთხმეტე საუკუნემდის ხელთ-ნაწერის ზოგი ანბანები ხუცური ანბანიდამ შედგებოდა, ხოლო ამ დროიდამ მოკიდებული ხელთ-ნაწერმა ხუცური ხასიათი სრულიად დაჰკარგა და მიიღო მხედრული ანუ ნუსხური ხელთ-ნაწერის ხასიათი. ეს მხედრული, როგორც ვიცით, იწერებოდა მრგვალის ასოებით, პირ-და-პირ ბეჭდურის ნაწერის მსგავსად. აი მოკლე მომდინარეობა ქართულის ხელთ-ნაწერისა. ევროპაში მრგვალი ხელთ-ნაწერი იწყება მე-XVII საუკუნის დასაწყისიდამ. პირველად შემოიღო იგი ფრანცუზმა ბარბერდორმა, მაგრამ ამ ხელს მხოლოდ სპეციალური დანიშნულება ჰქონდა. ხმარობდენ კალიგრაფიულ მწერლობაში, რუქებზე, გეგმებზე და სხვა ამ გვარ სხვა საგნებზე ზედ-წარწერათათვის. ამ უკანასკნელს დროში მრგვალ ხელს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ევროპიელმა გამოჩენილმა პედაგოგებმა და იკულისტებმა. ამათ დაასკვნეს, რომ მრგვალი ხელი პრაქტიკულადაც და მეთოდიურადაც ძრიელ გამოსადეგია, მოსწავლისათვისაც ჰიგიენურად დიდი სარგებლობა მოაქვს.

ამ ჟამად ბერმანიაში, საფრანგეთში და ბელგიაში ძრიელ გავრცელდა მრგვალი ხელი. შარშან ზამთარში პეტერბურგის მაზრის მასწავლებელთ კრებაზე ბატ. ბერბაჩმა წაიკითხა ვრცელი რეფერატი მრგვალი ხელის შესახებ და ასოების მრგვლად წერის სარგებლობაზე. ეს რეფერატი მრავალ საპედაგოგიო და სალიტერატურო ორგანებში იყო დაბეჭდილი და ბევრმა სასწავლებლებმაც შემოიღეს მრგვალი ხელი.

ამ ოთხი-ხუთის წლის წინად ერთმა ნემეცმა, სახელდობ ზიონნეევმა, რომელმაც მრგვალი წერისათვის წვერწაჭრილი კალამი კამოიგონა, გამოსცა ვრცელი დარიგება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს მრგვალი ხელი და რა სარგებლობა მოაქვს მას. ეს დარიგება მოკლე ხანში რამდენიმე ათი და ასი ათასი მილიონი გაიყიდა. მარტო ეს ფაქტიც საკმაოდ ლაღადებს მრგვალის ხელის გავრცელების სასარგებლოდ.

ჩვენ, როგორც მოვიხსენეთ, მრგვალ ხელს ევროპიელებზედ აღრე ეხმარობდით და კალამიც ჩვენი საკუთარი (აზიური) გვქონდა. ჩვენნი წინა-პარნი, როგორც მოგეხსენებათ, ლელწმის ან ძველის კალმით სწერდენ, და ეს კალმები სწორედ მრგვალი ხელისათვის იყვნენ ზედ-გამოჭრილნი. ვის არ ენახულება ქართული ძველებური ხელთ-ნაწერი წიგნები. ამ ნაწერების სიმშვენიერით ახლაც ესტკბებით, ყველა ჩვენგანი ნატრობს ამ გვარ ხელს, მაგრამ ნატერა მარტო ნატერად რჩება: მთელ ჩვენს ქვეყანაში ხუთ ექვს კაცს ვერ იპოვნი ძველებურის ლამაზის ხელით მწერალს. ამის მიზეზი ადვილი მისახვედრია ყველასთვის: მე-XVIII საუკუნის დამლევს, როცა ურთიერთობა რუსეთისა და საქართველოს შორის უფრო გაძლიერდა და შემდეგ, ამ საუკუნეში, როცა საქართველო შეუერთდა რუსეთს, ჩვენს შვილებს რუსული წახრილი წერა დაუწყებინეს. ამას მიაჩვიეს მათ ხელი და ქართულ წერასაც რუსული წერის ხასიათი მისცეს. ახლა, როდესაც თვით რუსეთში ცდილობენ, რომ ყველა

«დროების» ტელეგრამი, აგვისტ. 22

ჟუთათური ამბები

(დროებ-გამოგზავნილი წერილები ქუთაისის ავ-კარგიანობაზე).

წინა-სიტყვაობის მაგიერი.—წერილი რედაქტორთან.—ძველის მოძღვრის გაცილება და ახალის მოლოდინი.—ქართველ-კათოლიკეთ მოძღვარი, როგორც პედაგოგი.—გენიალური აზრი პატრისა.—პატრის მჭევრ-მეტყველური გრგვინვა სკოლის კომიტეტის და მასწავლებლის წინააღმდეგ.—უკანასკნელთაგან თავის აზრის დაცვა.—დიდი თავგადება.—საჩივარი.—ვინ გაიმარჯვებს?—ქუთაისის მოქალაქენი—ბაზი ღორები.—მათდამი შეურაცხყოფის მიყენება.—მათი სამწუხარო მდგომარეობა და მათგან საყვედური ქუთათურთადმი.—ღორების იმედი მომავალს ბედნიერებაზედ.—ღორების კონგრესი.—უკანასკნელი თხოვნა და გამომშვიდება რედაქტორთან.

ყოველს მწერალს თუ მემატიანეს კანონად აქვს (ან ჩვეულებად—როგორც გინდათ, ისე იფიქრეთ) უეჭველად წინა-სიტყვაობით დაიწყოს თვისი თხზულება. ძალ-მიძს თუ არა—მეტი ღონე არა მაქვს—მეც უნდა მივბაძო მწერალთა საქციელს და დავაკმაყოფილო მათი ჭირვეულობა, თუმცა ჩემი წინა-სიტყვაობა სულ სხვა გვარი იქმნება: იგი წერილია რედაქტორთან.

მაშ, ბატონო რედაქტორო, ყური ჩემსკენ! თუმცა მე თქვენ არ გიცნობთ და არც თქვენ გქონიათ ბედნიერება ჩემის გაცნობისა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, თუ ეკადნიერდები და ამ წერილს გწერთ. მე ვერ გაებედავდი თქვენდამი წერილის მოწერას, მაგრამ ამ უკანასკნელს ხანებში განსაკუთრებულმა გარემოებამ გამაბედვინა ეს საქმე. და განსაკუთრებული გარემოება კიდევ ის გახლავთ, რომ ამ ბოლოს დროს ფრიად გახშირდა უცნობთ შორის მიწერ-მოწერა; მეტადრე «დროების» მკითხველთ და თანამშრომელთა შორის. მკითხველთაგანნი: ზოგი (ფრიად მცირე ნაწილი, თქვენს მზეს ვფიცავ, მკითხველო!) მადლობას უძღვნის რედაქციასა; ზოგი ილანძღება და ჯავრობს, ზოგი კიდევ, ვინ იცის, რას არ იწერება და რა გვარის სურვილის დაკმაყოფილებას არა თხოულობს. ნუ შეგეშინდებათ, ბ. რედაქტორო! მე სრულიადაც არ ვეკუთვნი ზემოხსენებულ ვითომდა «ახალ-გაზდობის» დასსა, რომელიც... ჰმ... მაგრამ განმარტება რა საჭიროა, და, თუნდ საჭიროც იყოს დიდად,—მე ვერ ვიკისრებ, რადგანაც ვფიქრობ, მეც არ დამიტანონ და სრულიად უდანაშაულო და უბრალო კაცი საქმეში არაში ჩამაგდონ... ჰო, იმას მოგახსენებდით: მე, ჩემო ბატონო, ჟუთათური ამბები უნდა შეგატყობინოთ ამ წერილით და სხვა არაფერი. მხოლოდ იმ პირობით-კი გწერთ ამ წერილს, რომ სხვას „ქრისტიანკაცს“ არავის წააკითხოთ თავიდამ ბოლომდინ, «დროების» მკითხველების გარდა, რადგანაც ქვემოდ მოყვანილი ამბები დიდი საიდუმლონი არიან ყველასათვის, გარდა ჟუთაისისა. თუ ამ პირობას აღასრულებთ,—დრო გამოშვებით შეგატყობინებთ ჟუთათურს ამბებს და გაგაცნობთ აქაურს ყოფა-ცხოვრებას. მაშ, მოისმინეთ!

* * *

«დროების» მკითხველთ ეხსომებათ, რომ შარშან, ვგონებ, სწორედ ამ დროს, ქუთათურმა ქართველმა კათოლიკეებმა დიდის თანაგრძნობით, მაგრამ, ამასთანავე დიდის სინანულით და ნაღველიანად გააცილეს თავის საყვარელი მოძღვარი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მამა-შვილურად მწყსიდა თავის მრეველსა... აქაურს კათოლიკეებს ეგონათ, რომ ამისთანა მოძღვარს ცხადლივ კი არა, სიზმარშიაც ველარ ველირსებითო. მაგრამ... მაგრამ ვერ მივართვეთ: ამათი წინასწარმეტყველება გაცრუვდა: ახლანდელი აქაური პატერი ისეთი მცოდნეა სკოლის საქმისა, ისეთი პედაგოგი აღმოჩნდა, ისეთი ყურადღება მიიქცია სკოლის კომიტეტისაგან, რომ იმის წინა-მოადგილეს სიზმრადაც არ მოზმანებია! შარშანვე ვიღასაც უკვირდა და თავის განცვიფრებას „დროებაში“ აცხადებდა, რომ ქუთათურ სომხის დეკანოზს მ. ტ. დ. ია-ნცს ისეთი გენიალური აზრი მოხვლოდა თავში, რომლის ხელმძღვანელობითაც იგი საქართველოში მოფეს დაბადებულს სომხის ყმაწვილებთან პირ-

სასწავლებლებში მრგვალი ხელი ასწავლონ, და თითქმის რუსული წერის ბუნება შესცვალონ, ჩვენც შეგვიძლიან ვისარგებლოთ და აღვადგინოთ ჩვენი ლამაზი ძველებური მრგვალი ხელი.

კალმის შესახებაც უნდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. მრგვალი ხელის საწერად ახლანდელი წვერიანი კალმები გამოუსადეგარნი არიან, რადგანაც ესენი ქაღალდს აფუჭებენ პირ-და-პირ წერის დროს და არც ლამაზი გამოვა ამ გვარი კალმით ნაწერი.

ზიონნეევნის წყალობით ლელწმის და ძვლის კალმების მოპოება აღარ გვეჭირვება. ზიონნეევნმა მრგვალის ხელის საწერად, როგორცა ვსთქვით, გამოიგონა წვერ-მოჭრილი კალმები სხვა-და-სხვა ნომრებისა. ჩვენის მრგვალის ხელისათვის გამოსადეგნი არიან: №№ 1, 2, 2½, 3, 3½, 4, 5 და 6. ამ კალმების შოვნა ადვილად შეიძლება პეტერბურგში Фену და К° წიგნის მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნევის პროსპექტზე მე-42 ნომრის სახლში.

ორიოდე სიტყვა კიდევ მრგვალის ხელის სარგებლობაზე და იმის შესახებ— თუ რა უპირატესობა აქვს მას გადაწოლილ ნაწერზე:

1) მრგვალი ასო ზიონნეევნის კალმით ისრე უბრალოდ, ადვილად და შნოიანად იწერება, რომ ადვილი გასარკვევი და საკითხავია. ამიტომ მრგვალი ხელი იმდენად არც თვალს ავნებს, რამდენადაც წაწოლილი ხელი ენებს. ყოველი ჩვენგანი ხშირად შეხვდება ისეთ ნაირ წაწოლილ ხელ-ნაწერს, რომელსაც ვერც თავსა და ვერც ბოლოს ვერ გაუგებს. ამისათვის ცხადია, რომ, რაც ჩქარა მოისპობა წაწოლილი ხელი და მრგვალი ან ყაფარი ხელი იქმნება შემოღებული, მით უფრო კარგია. საჭიროა შევიმუშაოთ მრგვალი ხელის საწერი ელემენტები და წერის კანონები, შემდეგ შემოვიღოთ ჩვენებურ სკოლებში და მით აღვადგინოთ ძველი მრგვალი ხელი. ყველა ჰხედავს, რომ მე ძველის მიმდევარობით არ ვამჯობინებ ძველი ხელის შემოღებას. მე მაქვს სახეში, როგორც პედაგოგიური მოსაზრებანი ძველის მრგვალის ხელის შესახებ, ისე პრაქტიკული და თან მისი სიმშვენიერეც.

2) მრგვალი ხელით წერა, როგორცა ვსთქვით, ადვილი სასწავლია; წახრილ წერას დიდი სიფრთხილე და ნაცადი ხელის აწევ-დაწევა უნდა. ვსთქვათ, მწერალმა წერის დროს ასო იქ არ დაამსხვილა, საცა ამას მოითხოვს ამ გვარი წერის კანონი, მაშინ ნაწერი დაჰკარგავს შნოს და თან, შეიძლება, ერთი ასო მეორეს დაამზგავსოს. ამას ისიც უნდა დავსძინო, რომ თითქმის ყოველ კაცს თავისებური ხელი (почеркъ) აქვს; მრგვალი ხელის წერის დროს ყველა ანბანის ნაწილები წვერ-მოჭრილის კალმის გასმა-გამოსმაზე ჰკიდია, ამიტომ უმეტესს ნაწილს მოსწავლისას შეუძლია მრგვალი ხელით წერა ერთ ნაირად ისწავლოს.

3) მრგვალი ხელით წერა წახრილ ხელზე უფრო დიდხანს შეიძლება, ამიტომ რომ წერის დროს ხელს არც დაჭირება და არც აწევა არ უნდა, სულ ერთ დონეზე უნდა ატაროთ იგი ქაღალდზე. საკმაოა, მრგვალი ხელის ელემენტების რიგიანად დასმა, რომ წერა კარგა შეგეძლოსთ, წახრილს ხელზე კი ამისი თქმა შეუძლებელია.

4) მრგვალი ხელის წერის დროს კალამი და ქაღალდი ჩვეულებრივად უნდა გეჭიროთ, ე. ი. რეული სტოლის პარალელურად უნდა დაიდვა და არა წახრით, ხელის გული მარცხენა იღლიისკენ უნდა იყოს მიქცეული, ხოლო მთელი ხელის ჩანჩხი (ручная кисть) ნეკზე უნდა იყოს დაწოლილი. ასოების ყველა ელემენტები პირ-და-პირ ალმა-დალმა უნდა სხა, კალამი კი ყაფრად უნდა გეჭიროსთ.

5) ქართული ხელი ევროპიული და რუსული ხელიდამ იმით განირჩევა, რომ ქართული წერის დროს კალამი, როგორც ალმა, ისე დალმა პირ-და-პირ ადის და დადის. ამასთანავე ქართულ ანბანს ის თვისება აქვს, რომ, როცა რომელიმე ასოს ელემენტი ძირიდამ ზევით აყოლებით არის დასაწერი, უსათუოდ მსხვილი უნდა იყოს. მაგ. ვ, ე, კ, ქ, ფ, და სხ. ასოების ხვეულები მომსხო უნდა. ზიონნეევნის კალმით ეს კანები მშვენიერები გამოდიან.

6) მრგვალი ხელ-ნაწერი კიდევ იმითია კარგი, რომ ის წაწოლილ ხელ-ნაწერზე უფრო მიჯრით არის მიწყობილი და გარკვევითაც იწერება; ამასთან ცოტა ადგილსაც იჭერს.

ახლა გავსინჯოთ სწორი ან მრგვალი ხელის შესახებ რას ამბობენ ზოგიერთი ევროპიელი პედაგოგები და ექიმები:

პროფესორი ქონი, რომელმაც 1880 წ. აუსტრიის პირველ-დაწყებითი სკოლა დაათვალიერა, ამბობს: წერის დროს ბავშვები იმიტომ ხრიან მარცხნივ თავს, რომ წახრით სწერენო. როდესაც მრგგვალი წერა დავაწყებინე, ყველა შეგირდები წელში გაიმართნენ, სწორედ დასხდენ, თავი და ტანი სწორედ დაიჭირეს და დაიწყეს წერაო; რამოდენიმე სტრიქონის დაწერის შემდეგ, მე ისევ წაქცეული წერა ვუბრძანე და შეგირდები კვლავ ერთბაშად გულით მიეყრდენ სტოლსაო. ექიმი ბროსსი გვირჩევს კალმის ყაფრად (ვერტიკალურად) დაჭერას. ამ რჩევას ავსტრიის სახალხო სასწავლებლებში მტკიცედ ასრულებენ.

ექიმმა შუბერტმა პრაქტიკულად გამოიკვლია ეს საგანი და გვირჩევს, რომ რეული სწორედ დავიდვათ წინ და წერითაც მრგვალად ვსწეროთ. ექიმი ფებერიც წახრილის-წერის-წინააღმდეგია, რადგანაც ამ გვარ წერის დროს დიდი თვალ-ყურის დევნება, სიფრთხილე და სიმარდეა საჭირო ასოს რიგიანად დასაწერად. პროფესორი ბერლინიც ამ აზრისა არის.

შენიშვნა. მე ვეცდები ამ მოკლე ხანში გამოვსცე მრგვალი ხელის ელემენტები და ზიონნეევნის კალმების ნიმუში.

გადაღმელი.

შინაური ქრონიკა.

═ ქალაქ თბილისში იმყოფება ამ ჟამად სახალხო განათლების სამინისტროში დიდი ადგილის და გავლენის მქონე ბ-ნი ზიორგიევსკი.

═ თუ სადამდის მიაღწია წვენი ქალაქის უბრუნველობამ, ამას შემდეგი შემთხვევა ამტკიცებს: გუშინ-წინ, აგვისტოს 20-ს, დილის 5 საათზე, ავჭალის ქუჩაზე, პოლიციის განყოფილების მახლობლად, მცხოვრებლები გააღვიძა თურმე საშინელმა კივილმა, ყვირილმა, რევოლვერების ცლამ და ძახილმა: „დაიჭი, დაიჭი!“ ზოგიერთა მცხოვრებელთაგანნი ამ განგაშზე გამოსულან და შემდეგი სურათი უნახავთ: თხუთმეტამდინ ნაბადწამოსხმული ქალაქის ბიჭები, ხანჯლებით, ხმლებით და რევოლვერებით დაიარაღებულნი, მორბოდენ თურმე ქუჩაზედ, რევოლვერებს ისროდენ და ყვიროდენ: — დაიჭი, დაიჭიო, თუმცა იმათ მეტი იმ ქუჩაზედ სრულიად არავინ მოჩანდა და მათ წინაც არავინ არ გარბოდა. ამასთანავე ერთი მათგანი მეორეს ეჩხუბებოდა თურმე და ეუბნებოდა — ქამარი რა უყავი, მოიტა, თორემ მოგკლამო. ბოლოს არსენალის ქუჩაზედ, მახათისკენ შეუხვიეს მათ და არსენალთან უცებ გაქრნენ რაიც ვერ ლაპარაკობს, — ამ ენაზედ უნდა აჭიკჭიკოს ჟუთათური ქართველი ყმაწვილები და კიდევ წინაალმდეგობას უწევენ! არა, გონიერი კაცი განა იმას იზამს, ერთი მითხარით თქვენი ჭირიმეთ და?.. პირში შებრძოლებასაც ხომ არ დასჯერებიან, ბატონო: დაუწერიათ საჩივარი და გაუგზავნიათ ვისდამიც ჯერ-არს თავის შესანიშნავს მოძღვარზედ! ამ უკანასკნელსაც უჩივლია კომიტეტისათვის. ვნახოთ, რით გათავდება საქმე. ეჰ, «სიკეთისთვის სიკეთე არავის უქნიაო», სთქვა რუქამ არაკი... „ღმერთო მაღალო! რა დროს შევესწარითო“! ამბობდა ხოლმე ცხონებული ლუარსაბი უკმაყოფილობით.

* * *

ეს კიდევ არაფერი. ადამიანთა ცხოვრებაში ბევრი რამ უარესიც ხდება. მაგრამ რა წარმოსადგენი იყო, თუ იმ დროსაც შევესწროდით, რომ შეურაცხყოფას მიაყენებდენ ჟუჟაისის უწარჩინებულესს, შთამომავლობით საპატიო მკვიდრ მცხოვრებლებს — ლოველდაწყებითს სწავლას სომხურის ენით იწყებდა და იწყობს ახლაც. ეს გარემოება უკვირდა „დროების“ კორესპონდენტს და ახლანდელი კათოლიკეთ პატრის აზრი და მოქმედება რომ შეიტყოს, ხომ სრულიად გადირევა! ახალი პატრი ყირაზედ აპირობს თავიანთს სამრეველო სკოლის საქმის დაყენებას. ისეთს ნიადაგზედ და რიგზედ აწარმოვებს ამ სკოლას, რომლის მსგავსი თვით განსვენებულს პაპს პიო მე-IX-საც არ მოსვლია აზრად. შეჭურვილი თავის გენიალურის აზრებით, მ. პატერი ავს დღეს აყენებს სკოლის კომიტეტსა და მასწავლებელს: «როგორ გაგიბედნიათ თქვენ, კომიტეტო და მასწავლებელო, რომ ქართულს ენაზედ ასწავლით კათოლიკეთ ყმაწვილებსაო?! რას მიქვიან ქართული, რომელიც თქვენ ვერ გაცხონებთ, — აიღეთ და ლათინურად ასწავლეთ პირველ-დაწყებითს სკოლაშიო!» ბძანებს გაცხარებული მოძღვარი. «ვინც ლათინური არ იცის, იგი საეკლესიოს და საეკლესიოსაც წაწყმედილ-იქმნება!... ეგ რაღაც „სამშობლოს ცოდნის“ სწავლება დაგიწყვიათ — მოსპეთ, რადგანაც დიდი ცოდვა არ არის, რომ ქუთათურმა კათოლიკემ არ იცოდეს — რა არის და სად არის თბილისი. კათოლიკემ დაბადებისათანავე უნდა იცოდეს ჩვენის პაპის ქვეყანა და ქალაქი, სადაც იგი განისვენებსო, განაგრძობს მ. პატერი, ამიტომ დაანებეთ რაღაც „სამშობლოს ცოდნას“ თავი და შეისწავლეთ იტალია და რომიო... და სხვა ამ გვარებს თურმე ჭექა-ქუხილივით აყრის თავზე საცოდავს კომიტეტსა და უბედურს მასწავლებელსა!..

* * *

ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ იმის წარმოდგენა კი არ შემეძლო, რომ სკოლის კომიტეტი და ვილაც საცოდავი სამრეველო სკოლის მასწ. ბ. აკოფაშვილი ისე უმეცარნი აღმოჩნდებოდენ და არ დარწმუნდებოდენ მ. პატრის ცხარე და მჭევრ-მეტყველურის სიტყვის შემდეგ, რომ ქართველმა კათოლიკე ბავშვმა ლათინურს ენაზედ უნდა მიიღოს სწავლა, რომ პირველად იტალია უნდა გაიცნოს და შემდეგ, თუ მეტი საქმე აღარა იქმნება რა — «შეუძლიან თავის ქვეყანაც შეისწავლოს...» თუ სხვა არა იცოდენ-რა ამ უბედურთ, — ის მაინც როგორ აღარ მოაგონდათ, რომ «ცხონებისათვის» ლათინურის ზედ-მიწევნით ცოდნა და იტალიის შესწავლა უსათუოდ საჭიროა! თქვენ მასწავლებლის თავხედობას უყურეთ: წამომდგარა ბ. აკოფაშვილი და უმტკიცებს თურმე მოძღვარსა: «არა, მამაო, თქვენ სცდებით (ეს-კი მეტის მეტია!); თქვენებურად არ ივარგებს სწავლაო; პედაგოგია მოითხოვსო, რომ ბავშვმა თავის სამშობლო (ქართულს) ენაზედ იწყოს წერა-კითხვის სწავლაო; ჯერ მახლობელი თავის ქვეყანა გაიცნოს და შემდეგ უცხოეთ; რომ ამ აზრს ადგანან ყველა გამოჩენილი პედაგოგებიო»... და სხვა კიდევ ამ გვარები მოუბოდავს ბ. მასწავლებელს. მოდი შენა და ნუ იტყვი, აკაკისა არ იყოს, რომ «ხალხი აირ-დაირია». ბიჭო, კაცმა ლათინურს ენაზედ, იმ ენაზედ, რომელზედაც რომული და რემი ლაპარაკობდენ და რომელზედაც ამ ჟამად პაპიც ვერ ლაპარაკობს, — ამ ენაზედ უნდა აჭიკჭიკოს ჟუთათური ქართველი ყმაწვილები და კიდევ წინაალმდეგობას უწევენ! არა, გონიერი კაცი განა იმას იზამს, ერთი მითხარით თქვენი ჭირიმეთ და?.. პირში შებრძოლებასაც ხომ არ დასჯერებიან, ბატონო: დაუწერიათ საჩივარი და გაუგზავნიათ ვისდამიც ჯერ-არს თავის შესანიშნავს მოძღვარზედ! ამ უკანასკნელსაც უჩივლია კომიტეტისათვის. ვნახოთ, რით გათავდება საქმე. ეჰ, «სიკეთისთვის სიკეთე არავის უქნიაო», სთქვა რუქამ არაკი... „ღმერთო მაღალო! რა დროს შევესწარითო“! ამბობდა ხოლმე ცხონებული ლუარსაბი უკმაყოფილობით.

* * *

ნის გზის ხიდის თაღში, თითქო დედამიწამ ჩანთქაო. შემდეგ აღმოჩენილა, რომ ეს ღამის გმირნი შესცვივნიან ავჭალის ქუჩაზედვე მცხოვრებს დერ-ციკს ღარღაჯიშვილს, დაუჭრიათ იგი და წაურთმევიათ ფული, ვერცხლეული და ერთი ვერცხლის ქამარი. უკანასკნელი ნივთი ფაცა-ფუცში გზაში გავარდნიათ და შემდეგ პოლიციას უპოვნია.

ბასაკვირველია, — გვიამბეს ჩვენ, რომ ამ საშინელს ალიაქოთში პოლიციელნი არსად არ მოჩანდენ, მაშინ, როდესაც სხვა დროს, სადაც ისინი სრულებით საჭირონი არ არიან, თვითოეულს ნაბიჯზედ შეხვდებითო.

= ბუშინ დილით ვარანცოვის ქუჩაზე, ვეზიროვის ქარვასლაში, სადაც იდგა რამდენიმე ფურგონი, დატვირთული სხვა-და-სხვა გვარი საქონლით, სამ მათგანში პოლიციამ აღმოაჩინა სამი ცალი ჩაის კონტრაბანდა. ეს საქონელი ვეზიროვის ქარვასლიდგან მიჰქონებიათ ხალათოვის ქარვასლაში. როგორც სამი ცალი ჩაის კონტრაბანდისა ისე სამივე ფურგონი საქონლით გაუგზავნიათ ტამოჟნაში გასაჩხრეკად. ჯერ-ჯერობით პატრონი არ აღმოუჩენიათ. ამ საქმეზე გამოძიება დაინიშნა.

= თბილისს ეწვია გამოჩენილი არტისტკა პეტერბურგის საიმპერატორო თეატრისა დ. მ. ლეონოვისა, რომელიც რუსეთის საოპერო დასს დამამშვენებლად ითვლება. მომღერალი ქ. ლეონოვისა გამოჩენილი არის თავის დაწმენდილის და სასიამოვნო ხმით, რომელიც განსაკეთებულად აქვს შემუშავებული.

თბილისელებს უნდა ახსოვდეთ ამ არტისტკის ტკბილი სიმღერა, რადგანაც ამ რამდენიმე წლის წინად მან გამართა ჩვენს ქალაქში კონცერტი.

ეხლაც პატივსაცემი არტისტკა ჩვენკენ გამომგზავრებულა და დღეს, ოთხშაბათს, ჰსურს კიდევ ერთხელ გამართოს იმ გვარიეე კონცერტი «თბილისის სობრანიეში», სადაც, უეჭველია, მრავალნი დაესწრებიან, რადგანაც თბილისელებს საზოგადოდ უყვართ რიგიანი მომღერლები და მათი დაფასებაც იციან.

კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ქ. ლეონოვის მოწაფე, ყმაწვილი ქალი აბრამიჩოვისა, რომელსაც სასიამოვნო და შემუშავებული ხმა აქვს.

= ჩვენ შევიტყეთ, რომ დ. ცხინვალში აპიროობენ წარმოდგენის გამართვას წინანდელ წელთა მაგალითისამებრ. წარმოდგენიდამ მოგროვილი ფული «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ იქნება გადადებულიო.

= ჭუთაისიდამ გვწერენ: «აქამდინ აუარებელი წვიმები იყო და ეს რამდენიმე დღეა მშვენიერი ამინდი სდგას. ბვარიანად აგრილდა, მეტადრე საღამოობით საზაფხულო ტანისამოსით გამოსვლა საშიშია. აჭარა და ახალციხის მთებზე თოვლი მოვიდა. საღიანობაა აქ ჯერ-ჯერობით. სასწავლებლებში მთხოვნელნი წინანდებურად ბლომად არიან, — ვაკანსიები კი ცოტაა...»

= ბაზეთს «ქავკაზს» ქახეთიდან მეტად საბუთიან და საყურადღებო ამბავს ატყობინებენ. აი რა საქმეა: მეტად ბევრი ვენახები გადადის ქახეთში შესყიდვის გამო. გლეხების ხელიდან ვაჭრების და ჩარჩების ხელში. მაგალითად, ბურჯაანში და ველისციხეში სამოცამდის ვენახი გადავიდა მარტო გილდიის მქონე პირების ხელში და ეს პირნი არა რაიმე სხვა გადასახადს არ იხდიან და მამულის ხარჯი ისევ გლეხთა საზოგადოებას ედება. საბუთად მოჰყავთ ამ პირთ ის კანონი, რომ გამყიდველი გლეხი ჰყიდის ვაზებს და არა მამულს, რადგან იგი სახემწიფოა და არა გლეხის საკუთრებაო. მაგრამ ის ავიწყდებათ, რომ გლეხი ხარჯს იხდის იმ მამულის გულისთვის, რომელსაც იგი ხმაროობს. ვენახის ადგილის ხარჯსაც, რასაკვირველია, გლეხობა იხდის და გაყიდულ ვაზებს ადგილიც ზედ მისდევს და სარგებლობაც, ხარჯი კი გლეხს აწვება ტვირთად. აქედან ცხადადა სჩანს შემდეგი: სამართლიანი საქმეა, როცა ამ გაყიდული ვენახების ხარჯს ისევ გლეხივე იხდის — თუ უფრო სამართლიანი იქნებოდა, რომ მსყიდველებს დასდებოდათ ეს ხარჯი? ეს კითხვა უეჭველად ახსნას თხოულობს, რომ შეღავათი მიეცეს ისეც შევიწროებულ ხარჯის მძლეველ გლეხობას. ადგილობრივი ადმინისტრაცია უკვე მიმხვდარა ამ უსამართლობას, მაგრამ თითონ შველის ძალა არა აქვს...

= სტამბოლის გაზეთების სიტყვით, მაისში აღწერა ყოფილა მცხოვრებლებისა და ტრაპიზონის ვილაეტში სულ 540,572 სული. ამ რიცხვში ქ. ტრაპიზონზე მოდის 31,174 სული, ჯანკის მაზრაში — 30,901, ლაზის-ტანში — 22,261 და გუმიშხანაში — 448,236 სული.

= გაზ. «ქასპში» ვკითხულობთ შემდეგს ამბავს: «პეტერბურგელი კორესპონდენტი «Times»-ისა ამტკიცებს რომ, თუმცა ოსმალოს გაზეთებმა ხმა დაჰყარეს, ვითომ რუსეთისა და სპარსეთის სამხღვარის ახლო, ბაღდადის პროვინციაში, გაჩენილი ჟამი ერთს ალაგს არის დაბუდებულიო, — მაგრამ ნამდვილად კი საშინელის ძალით მძვინვარებს ჭერბალაიში. ამ ქალაქში ჟამი გადუტანიათ სენით მოდებულის ალაგებიდამ მლოცავებს, რომელნიც მრავლად მისულან იქ; შემდეგში ეს ხალხთა შემმუსვრელი სენი, უკეთუ

რებს! ისიც ვინ?! ნეტავი, კაი დიდ და პატივ-ცემულ გვამთაგან მაინც მიელოთ „აბიდა:“ სულ უბრალო კაცებისგან, ბატონი ბაზრის ზედამხედველის და პოლიციის დაბალ მოხელეთაგან (დესეტნიკებისაგან)! როგორ მოიფიქრებდენ ეს მართლა-და ნაზნი ქმნილებანი და დღე-და-ღამ ჭუთაისის ბაზრის და ქუჩების მკვიდრნი და ნებიერნი მცხოვრებნი, რომ იგინი განდევნილ-იქმნებიან ბაზარ-ქუჩებიდგან და შემწყვედეულ რაღაც ეიწრო და მყრალ სოროებში, რომლებითაც ასე მდიდარია ჩვენი ქალაქი! საწყალი ღორები ველარ გაისეირ-გამოისეირებენ დინჯად და ჭილოსოფიურს აზრებში გართულნი ბაზარში და ქუჩებში, რომლის შავსა და მყრალს წუმპეში ასე უყვართ გადაბრუნ-გადმობრუნება! ველარ ასჩიჩქნიან ქუჩებში აქა-იქ დაგროვებულს მყრალს და დამპალს ნაგავსა და ლაზათიანად დაზელილს ათას-გვარის მყრალ ნაწილთაგან შეზავებულს ტლაპოსა თავის ფაფუკის და მეტად ყნოსვა-მახვილი დინგითა!!. მაგრამ რას იზმენ: იციან, რომ «დროონი მეფობენ», დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ამბავი სულ ვიღაც ჭირვეულის კაცის ბრალია; იციან, რომ რისხვა მალე გადივლის; განკარგულება დავიწყებას მიეცემა შარშანდელის თოვლივით და მისი ძალა მხოლოდ ქალალდზედ-და დარჩება. ყველა ეს კარგად იციან ჩვენმა მკვიდრმა მოქალაქეებმა და ამიტომ არც თავებს იმტვრევენ: «დღეს არა — ხვალ; ხვალ არა — ზეგ მაინც მოგვენიჭება უწინდელი თავისუფლებაო,» — ნუგეშობენ ჩვენი ხრუტუნა მოქალაქენი...

***

«ავი ძაღლი არც თვითონა სჭამს და არც სხვას აჭმევსო», — იმდურებიან ღორები ადამიანებზე; რაც რამ დამპალი ხილი და ქერქები ყრია ქუჩებში — იმას ვსჭამდით და რად შეშურდათო? თუ ადამიანებს თავის მოსახმარად უნდოდათ ყველა ის, რითაც ჩვენ შეეექცეოდით, — ეხლა, როდესაც ჩვენ განგვდევნეს ბაზარ-ქუჩებიდგან, — რაღად ყრია ისევ ის დამპალი ნაგავი, დიდრონი გროვები აყროლებულის ტალახისა და რად სდგას ქუჩებში გაუვალი და „უძირო“ ტბები?! არ უნდა იყოს «განათლებული ხალხი «ასეთი ხარბი და მოშურნე, თორემ თქვენ იცით: „ერთხელ ჩვენსკენაც იქმნება ქორწილი“ და მაშინ... მაშინ ჩვენ ვიცით»...

ნუ გგონიათ, მკითხველნო, რომ ყოველს ღორს სული ეხუთებოდეს ჭუთაისში; სულაც არა: დრო-გამოშვებით, როდესაც დროს მოიხელებენ, — ეცემიან ქუჩებს და, ვიდრე მტერი მოასწროობთ, მიუსვ-მოუსვამენ დინგსა; და ორ-პირის ქუჩაზედ (რომელზედაც შემდეგს წერილში მოგწერთ) ხომ უწინდებურად დასეირნობენ და იპატიჟებენ სხვა ქუჩებიდგან განდევნილს ღორებს. ხომ მოგეხსენებათ: ნათესაობაა: ზოგს ძმა ყავს, ზოგს ბიძა, ბიძაშვილი, ბაბუა, პაპუა და სხვანი... ასე რომ, როგორც ჰხედავთ თქვენის ბედნიერის გონების თვალით, ჭუთაისის საზოგადოება არ გახლავთ სრულიად მოკლებული ღორების და მათის ფუფუნების ხილვის ბედნიერებასა... სრულიად მოკლებულნი რომ იყვნენ, ხომ ჭუთაისი — „ჭუთაისად“ არ ჩაითვლება და ქუთათურები «ქუთათურებად» აღარ ჩაირიცხებიან... ოჰ, ქოპალევ! რა იქნება მაშინ!!. აქაური ღორები კონგრესზედ არიან მოწვეულნი თავიანთ საზოგადოების «თავისაგან». კონგრესის უმთავრესი საგანია — საჩივარი მიართვან ბაბუა ხოლერას („ხორველას“) თავიანთ შეწუხებაზედ კაცთა-ნათესავისაგან და ამ უკანასკნელთ დასჯაზედ... როდესაც შეეიტყობთ საჩივრის შინაარსს, — მყისვე გაცნობებთ წერილით.

ბოლოს მშვიდობით ბრძანდებოდეთ და უკაცრავად, ბ. რედაქტორო, რომ თავი შეგაწყინეთ ამოდენა წერილითა.

დაგშთები თქვენი პატივის-მცემელი

«რა უჯ-დე-ჯატრამბლე».

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბეჭდი ფონდი

ფერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო!

თქვენის პატივცემულის გაზეთის მე-175 ნომერში დაბეჭდილია სხვათა შორის ბურიიდამ გამოგზავნილი წერილი, „ხმა ბურიიდამ“ და ამ წერილში არის მოყვანილი ერთი შემთხვევა, რომელიც ვითომც მოეხდინოს პ — ავს თ — შვილს; რადგან ამ წერილში მე ვარ მოხსენებული ქვრივად, მაშინ როდესაც მე მყავს მეუღლე და რადგან ყოველივე ცნობანი იმის შესახებ, რომ ვითომც ს. პ — ვი შემომვარდნოდეს სახლში, როცა მე ვიყავი საღამურ ტანისამოსში და მე შეურაცხყოფა მიმეყენებიოს მისთვის და სხვა ამ გვარი სიმართლეს დაშორებული ხმები არიან ნაყოფი ავტორისაგან ნამდვილი ამბების უცოდინარობისა, ამიტომაც უმორჩილესად გთხოვთ, ჭეშმარიტების აღსადგენად, გამოაცხადოთ თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ მე არას დროს ამ გვარი არა ჩამიდენია-რა; მხოლოდ იმ დღეს ვიყავი უკმაყოფილობით, რომ აკრძალვა დაედვა ჩემთან მობარებულ ტანისამოსს მართა ჭარციკაძის ქალისას და ეს უკმაყოფილება მე გამოვხატე სიტყვიერად და არა რომელიმე უწესო მოქმედებითა და, როცა ს — ის პ — ვი მოვიდა, კიდევაც მივეცი ეს ტანისამოსი და არავითარი წინააღმდეგობა არ გამიწევია. ბ. კორესპონდენტი ამ გვარი შემცდარი ცნობებით ვერავის ვერ დააჯერებს, რომ ვითომც ს — ნი პ — ვი თ — შვილი იყოს იმ გვარი ცუდი კაცი, როგორც მას აუწერია, რადგან იმას ყველა საკმაოდ იცნობს, როგორც რიგიან და პატი-

---

ოსანს კაცს; ამასთანავე ესოხოვ ბ. კორესპონდენტს უარ-ჰყოს ის სიტყვებიც, რომელნიც მე მან მომაწერა და რომლითაც ვითომ და მე თავსა ემართლულობ იმ წინააღმდეგობისათვის, რა წინააღმდეგობაც პ—ეს გაეუწია. როგორც წინააღმდეგობა და, მაშასადამე, დანაშაულობა არავითარი არა ყოფილა-რა ჩემის მხრით, ისე თავის გამართლებაც არაფერში საჭიროა არ იქნებოდა. წერილის ავტორი ბძანებს, ვითომ მე დღესაც იმით ემართლულობ თავსა, რომ ბ-ნი პ—ვი მოვიდა ჩემს სახლში მეშვიდე მცნების დასარღვევად და არა საქმისათვის. მე ამ გვარი სიტყვები არაოდეს არ მითქვამს და არც ვიცი, საიდან შეითხზა.

დაგშთები თქვენი ღრმად პატივის-მცემელი

კონა ნ—ძისა ქ—ძის ქალი.

აგვისტოს 15-ს.

ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

აგვისტოს 20-ს

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა დაბრუნდენ პეტერგოფში ზღვის მანევრიდგან.

იმის გამო, რომ ამას წინად გამოიცა უმაღლესი ბძანება შესახებ ბაქისა იმ თუჯზედ და ნახშირზედ, რომელნიც სამზღვარ გარეთიდამ შემოდიან ბალტიის პორტებში, ტამოჟნების დეპარტამენტი იუწყება, რომ ფინლიანდიის უხმარებელი თუჯი უწინდებელად უბაქოდ გაიშვება; ფინლიანდიის ნახშირზედ, გარდა ხის ნახშირისა, კოკსზედ და ტორფზედ (მნთებარე მიწა) უნდა გადაიხადონ ბაქი, ხის ნახშირი კი უბაქოდ გაიშვება, მხოლოდ მაშინ, თუ მოწმობას წარადგენენ, რომ ის ადგილობრივ არის გაკეთებული.

ბელგრადი. აქ მოსული რომის მეფის პატივსაცემლად დიდი დღესასწაულებია გამართული; გუშინ სასახლეში იყო სადილი, ბალი, ფაკელით სიარული და ჩირაღდანი; რომის მეფე დაინიშნა მე-6 ქვეითა პოლკის შეჭად.

ბაბა. პალატაში შეტანილია კანონ-პროექტი იმაზედ, რომ რეგენტობის დროს ტახტის მემკვიდრეობის წესში არაფერი არ შეიცვალოს.

ბოსნა-ჰერცეგი. ჩინეთის მმართებლობის პროკლამაცია ფულის საჩუქარსა ჭპირდება თვითეული ჭრანაცუზის თავისათვის.

საფრანგეთის ჭლოტის მოქმედება მდ. მინზე გათავდა და საკვაჭრო გემებს იქ შიში აღარაფერისა აქვთ.

ტიანძინი. იაპონია თხოულობს უზენაესს უფლებათ ლიუკიუს კუნძულზე და ისეთსავე ხელ-შეკრულობის უფლებათა, როგორნიცა აქვთ მინიჭებულნი ჩინეთისაგან სხვა სახელმწიფოთ.

ქაირი. გორდონი იწერება, რომ ხართუმს შეუძლიან გაუძლოს მტერს სექტემბრამდინ.

ლონდონი. გენერალი უოლსლეი და ლორდი ნორსბრუკი გუშინ წავიდენ ეგვიპტეში და შაბათს ალექსანდრიაში მივლენ.

ცნობანი

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 აგვისტოდამ 1 სეკტემბრამდე 1884 წ.

გამომცხვარი შური რუსეთის ფქვილისა	—	—1	გირ. 5 ბ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისხისა	—	—1	ბ. $2^1/_2$
მეორისა	—	—1	ბ. 2 ბ.
იმაკე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:			
პირველი სარისხის		—1	ბ. $4^1/_2$
მეორისა	—	—1	ბ. 3 ბ.
მესამისა	—	—1	ბ. 2
ჭვარის-მამი შური:			
პირველი სარის. ლაგაში		1	ბ. $4^1/_2$
მეორის სარის. ლაგაში		1	ბ. $3^1/_2$
მესამისა	—	—1	ბ. 3 ბ.
ძროხის ხორცი:			
პირველის სარისხისა		—1	ბ. 7 ბ.
მეორისა	—	—1	ბ. 6 ბ.
სუკი . . .		—1	ბ. 14 ბ.
ცხვრის ხორცი		—1	ბ. 7 ბ.
ღორის ხორცი:			
პირველის სარისხისა		—1	ბ. — ბ.
მეორისა	—	—1	ბ. — ბ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო საშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(საშშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ ⁊ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო საშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

ОХ

დოქტორი რეიხი ხელ-ახლავ მიიღებს **თვალებით ავადმყოფებს** აგვისტოს 15-დამ (ძველი არსენალის ქუჩა № 17) დილის 9—10 საათზე. (6—3)

ХОХ

ქუთაისის პროგიმნაზიის ინსპექტორი

უმორჩილესად აცნობებს მშობლებს, ნათესავებს და აპეკუნებს ვაჟებისას, რომელნიც ამ პროგიმნაზიაში სწავლობენ, რომ თანხმად სახალხო განათლების მინისტრის წინადადებისა, № 10461, 25 წარსული ივლისიდგან ამა 1884 წლისა, რაოდენობა სწავლისათვის გადასახადი ფულისა პროგიმნაზიაში გადიდდება ამ გვარად: მოსამზადებელ კლასში 10-დგან—16 მანეთი, დანარჩენ კლასებში 12-დგან—20 მანეთი წელიწადში თითოეულ შეგირდზედ. ამიტომ ქუთაისის პროგიმნაზიის მთავრობა უმორჩილესად სთხოვს მშობლებს და ნათესავებს ამ ვაჟებისას, რომელნიც ამ პროგიმნაზიაში სწავლობენ, ვაჟების სასწავლებელში მოყვანის დროს, ამ აგვისტოს ოცდგან, წარმოადგინონ მომავალი $188^4/_5$ წლის სწავლისათვის გადასახადი ფულის ნახევარი, იმ რაოდენობით, რომელიც არის დადგინებული სახალხო განათლების მინისტრის უკვე ნახსენები განკარგულებით, სახელდობრ: მოსამზადებელ კლასში რვა (8), ხოლო დანარჩენ კლასებში ათ-ათი მანეთი თითოეულ შეგირდზედ. (3—1)

გამოვიდა

საბა-სულხან ორბელიანის

ლექსიკონი

ავტორის სურათით და ისყიდება ანჩხატის ეზოში მღვდლის ზრიგოლ მღებრიევისას.

ფასი ოთხი მანეთი ადგილობრივ, ხოლო გაგზავნით ოთხი მან. და ერთი აბაზი. (10—10)

LA VÉRITABLE SALSEPAREILLE COLBERT

(ნამდვილი სალსეპარეილი)

არჩენს სისხლის ყოველსავე უწმინდურებას და ავადმყოფობას. უფთხილდით მიმბაძავთ. ეტიკეტზე უნდა იყოს წითლად მოწერილი J. PLATEAU. ფაბრიკის ნიშანი წარდგენილია. რომ არ მოსტყუვდეთ, მიმართეთ უფრო ს. ზურიკოვს და შახპარონიანცს. (8—2)

კბილის ექიმი

ბ. არნშტეინი

მიიღებს ავადმყოფებს დილით 10-საათიდამ საღამოს 6-ს საათამდე ბოლოვინის პროსპექტზედ, მირზოევის სახლში, რომელიც უწინ ბელოისა იყო. (10—4)

ვაჭრობა საღებავებით

ქავკასიის ამხანაგობისა (ბრაჭის ქუჩა მუზეუმის პირდაპირ.)

საღებავები ხმელი და თხელი შეზავებული ზეთით.

ლაქი ზეთიანი და სპირტისა, სხვა-და-სხვა გვარი **ხანგალი** (კისტი) და ყოველნაირი კუთვნილებანი საღებავით ვაჭრობისა—აქვე შეიძლება იშოვონ ერთგვარი **თხელი ნივთიერება**, რომელიც სინოტიეს აცილებს თავიდამ. ხე, ქვა ანუ აგური, ამ ნივთიერებით დაფარული (Enduit hydrofuge)—მიუკარებელია სინოტიესათვის.

სხვა ქალაქებიდამ მოთხოვნილებანი კმაყოფილდებიან დაუკვინებლად. (70—44)

ინგლისის მადაზიაში

თმის-ამომეკანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—60)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 21 Августа 1884 г. სტამბა აბ. ალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი Ю. მაჩაბელი